ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

# გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

დაბა ქედა

N 86
10/09/2018

86-04-4-201809101456

## სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ჯგუფებში აღმზრდელ-პედაგოგების/აღმზრდელების რაოდენობის კანონმდებლობის მოთხოვნებთან თავსებადობის ეტაპობრივად მისაღწევად სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ

ქედის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა შექმნას ხელსაყრელი გარემო თანამედროვე, ხარისხიანი, აღსაზრდელებზე ორიენტირებული სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სისტემის განვითარებისათვის და ბავშვების სასკოლო მზაობისათვის. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მიხედვით, მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებას წარმოადგენს. ამ უფლებამოსილების ფარგლებში მუნიციპალიტეტის მერია ახორციელებს პროგრამას „სკოლამდელი აღზრდა და განათლება“. პროგრამის ფარგლებში, 2013 წლიდან, ქედაში 8 ახალი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულება აშენდა, დამატებით 300-მდე აღსაზრდელს მიეცა შესაძლებლობა ესარგებლა სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მუნიციპალური მომსახურებით. მუნიციპალიტეტის მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს არსებული ბაგა-ბაღების შენობების რეკონსტრუქცია/რემონტი და ამ მიმართულებით მუშაობა გრძელდება.

ამ ეტაპისათვის, ქედის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ფუნქციონირებს 15 მუნიციპალური ბაგა-ბაღი, რომლებიც ქედის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ „ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანების“ სტრუქტურული ერთეულებია. ბაღებში აღსაზრდელთა ზღვრული რაოდენობა 650-ია, ჯგუფების საერთო რაოდენობა კი - 32. თითოეულ ჯგუფს ემსახურება 2 აღმზრდელი და 1 აღმზრდელის თანაშემწე.

„ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის შესაბამისად, სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ჯგუფები უნდა დაკომპლექტდეს შემდეგი მაქსიმალური ოდენობების მიხედვით:

ა) 2-დან 3 წლამდე ბავშვების ჯგუფში შეიძლება იყოს არაუმეტეს 25 ბავშვისა;

ბ) 3-დან 4 წლამდე, 4-დან 5 წლამდე და სასკოლო მზაობის პროგრამის ჯგუფში შეიძლება იყოს არაუმეტეს 30 ბავშვისა.

ამასთან, თითოეულ ჯგუფში აღმზრდელ-პედაგოგების/აღმზრდელების რაოდენობა უნდა განისაზღვროს შემდეგი თანაფარდობით:

ა) 2-დან 3 წლამდე ბავშვების ჯგუფში აღმზრდელ-პედაგოგების/აღმზრდელების ბავშვებთან თანაფარდობა არ უნდა იყოს 1:13-ზე მეტი;

ბ) 3-დან 4 წლამდე, 4-დან 5 წლამდე და სასკოლო მზაობის პროგრამის ჯგუფში აღმზრდელ-პედაგოგების/აღმზრდელების ბავშვებთან თანაფარდობა არ უნდა იყოს 1:15-ზე მეტი;

მოცემული რეალობიდან გამომდინარე, „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მუნიციპალიტეტის ვალდებულებების დადგენილ ვადებში შესრულების მიზნით, ქედის მუნიციპალიტეტის უმთავრესი გამოწვევებია:

ა) სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საყოველთაო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

ბ) სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ჯგუფების დაკომპლექტება კანონით დადგენილი მაქსიმალური ოდენობების გათვალისწინებით;

გ) თითოეულ ჯგუფში აღმზრდელ-პედაგოგების/აღმზრდელების ბავშვებთან აღსაზრდელებთან თანაფარდობის უზრუნველყოფა.

ზემოაღნიშნული გამოწვევების დასაძლევად, „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. დამტკიცდეს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ჯგუფებში აღმზრდელ-პედაგოგების/აღმზრდელების რაოდენობის კანონმდებლობის მოთხოვნებთან თავსებადობის ეტაპობრივად მისაღწევად თანდართული სამოქმედო გეგმა (შემდგომში – სამოქმედო გეგმა).
2. დაევალოს ქედის მუნიციპალიტეტის მერიას, მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურსა და ა(ა)იპ „ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანებას“ უზრუნველყონ სამოქმედო გეგმის განხორციელება.
3. დაევალოს ქედის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საკითხთა და ძეგლთა დაცვის სამსახურს სამოქმედო გეგმის განხორციელებასთან დაკავშირებული საქმიანობის კოორდინაცია.
4. მიღებული განკარგულების შესახებ ეცნობოს ქედის მუნიციპალიტეტის მერს.
5. განკარგულების დაინტერესებული მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მ. სალაძემ.
6. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).
7. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

შუქრი თურმანიძე



საკრებულოს თავმჯდომარე

**დანართი**

**<u>აღმზრდელ-პედაგოგების/აღმზრდელების რაოდენობის კანონმდებლობის მოთხოვნებთან თავსებადობის ეტაპობრივად მისაღწევად ქედის მუნიციპალიტეტის 2018 -2020 წლების სამოქმედო გეგმა</u>**

**<u>ზოგადი მიმოხილვა:</u>**

დოკუმენტი შემუშავებულია ,,ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, რომელიც მუნიციპალიტეტს აღიარებს, როგორც ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს აქტორს ადგილობრივ დონეზე, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხელშეწყობისა და ხარისხის უზრუნველსაყოფად. კანონი, ასევე იძლევა მყარ საფუძველს, რომ მუნიციპალიტეტმა ეს გამოწვევა მიიღოს, როგორც, უნივერსალური შესაძლებლობა ადრეული განათლების ხარისხისა და ხელმისაწვდომობის გასაუმჯობესებლად, რომლის განხორციელების შემდგომ ადგილობრივ დონეზე მიღწეული ხელშესახები შედეგები, დამატებით მექნიზმია ადრეული განთლების შემდგომი და მდგრადი განვითარებისთვის.

**<u>სამოქმედო გეგმის მიზანი:</u>**

სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზანია სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში საგანმანათლებლო პროცესში ჩართული პერსონალის პროფესიული გადამაზადება/განვითარება და მათთვის ,,აღმზრდელ-პედაგოგის" სტატუსის მინიჭება, რაც გულისხმობს აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიული განვითარების ხანგრძლივ ტრენინგ-პროგრამების გავლას, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლსი 29 ივნისის №97/ნ ბრძანებით.

**<u>სამიზნე ჯგუფი:</u>**

პირები, რომლებიც დასაქმებული არიან ქედის მუნიციაპლიტეტის ტერიტორიაზე არსებული ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში საგანმანათლებლო პროგრამების მეთოდისტად, ასევა საგანმანათლებლო პროცესში ჩართული პირები (აღმზრდელები).

**<u>სამოქმედო გეგმის განხორციელების შედეგად მიღებული იქნება შემდეგი მნიშვნელოვანი შედეგები:</u>**

- განხორციელდება კანონით განსაზღვრული ღონისძიებები;
- გაიზრდება მიზნობრივი სეგმენტების წვდომა მათთვის საჭირო ინფორმაციაზე;
- დაწესებულება მიიღებს მაღალკვალიფიციურ პერსონალს;
- მნიშვნელოვანია საგანმანათლებლო პროცესში ჩართული პირებს გაეზარდოთ წვდომა მათთვის სასურველ ინფორმაციაზე, სასწავლო-საგანმანათლებლო პროგრამებზე, რის შედეგადაც ისინი შეიძენენ ისეთ უნარ-ჩვევებს რაც უზრრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის ეფექტურ წარმათვას.
- ბაგა-ბაღების რეაბილიტირებული შენობები

**<u>მთავარი შედეგი:</u>**

- მიზნობრივ ტერიტორიაზე ისეთი მენტალური, სოციალური და თავისუფალი გარემოს შექმნა, რომელიც ხელსშეუწყობს თითოეულ ბავშვს ადრეულ ასაკში მიეცეს პოტენციალის მაქსიმალურად გამოვლენის, სწავლისა და განვითარების შესაძლებლობა, ბავშვი თავს უნდა გრძნობდეს დაცულად, საზოგადოების სრულფასოვან წევრად, ჰქონდეს დამაკმაყოფილებელი ფიზიკური და ფსიქიკური საჭიროებები, მიიღოს ხარისხიანი განათლება, რათა შეძლოს განვითარდეს, როგორც სრულფასოვანი ადამიანი და კარგი მოქალაქე.

- ამ სამოქმედო გეგმის მიზანდასახულად და ხარისხიანად განხორციელების შემთხვევაში მიღწევა - ახალი სტანდარტების დანერგვა და საგანმანათლებლო პროცესში ჩართული პირების კვალიფიკაციის ამაღლება.

<u>**დამხმარე, ინსტრუმენტული შედეგები:**</u>

- სუპერვიზია, რომელიც გულისხმობს გამოცდილი სპეციალისტის მიერ დატრენინგებული თანამშრომლის მხარდაჭერას ბაგა-ბაღში საგანმანათლებო/სააღმზრდელო პროცესში. (რამდენად იყენებს პრაქტიკაში გადამზადების შედეგად მიღებულ ცოდნას და ახალ მეთოდოლოგიას).

## <u>სამოქმედო გეგმა:</u>

| № | თემა/აქტივობა | ამოცანა | საქმიანობა | შემსრულებელი/ პასუხისმგებელი უწყება | დაფინანსების წყარო | პარტნიორი უწყება | შესრულების ვადა და მოსალოდნელი შედეგი | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | 2018 წელი | 2019 წელი | 2020 წელი |
| 1 | სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შენობების რეკონსტრუქცია/ რემონტი | სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების რეაბილიტირებული შენობების რაოდენობა | | ქედის მუნიციპალიტეტის მერია, და მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურსა | ადგილობრივი ბიუჯეტი | ქედის მუნიციპალიტეტის მერია | მ/წ დასრულდება 1 სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების შენობა, რომელიც გათვლილია 50 აღსაზრდელზე | რეაბილიტირებულია 4 სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების შენობა, რომელიც გათვლილია 200 აღსაზრდელზე | რეაბილიტირებულია 15 სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების შენობა, რომელიც გათვლილია 800 აღსაზრდელზე |
| 2 | აღმზრდელ-პედაგოგი/ მეთოდისტი გადამზადება | სერტიფიცირებულ აღმზრდელ-პედაგოგთა/მეთოდესტი რაოდენობა | | ა(ა)იპ ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანება | | საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო | სერტიფიცირებული 2 აღმზრდელ-პედაგოგი/ მეთოდისტი | სერტიფიცირებული 64 აღმზრდელ-პედაგოგი | სერტიფიცირებული 66 აღმზრდელ-პედაგოგი/ მეთოდისტი |
| 3 | ჯგუფები | რაოდენობა | დაჯგუფება | ა(ა)იპ ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანება | | ქედის მუნიციაპლიტეტის მერია | 2018 წლის IV კვარტალი გადამზადდა ორი მეთოდისტი | 2019წლის I კვარტალი გადამზადდა 21 აღმზრდელ/პედაგოგი. II-კვარტალი გადამზადდა 21 აღმზრდელ/პედაგოგი.I II-კვარტალი გადამზადდა 22 აღმზრდელ/ პედაგოგი | 66 სერთიფიცირებული აღმზრდელ-პედაგოგი/ მეთოდისტი |
| 4 | ტესტირება | სერტიფიცირებულ აღმზრდელ-პედაგოგი | კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დაკმაყოფილება | სამინისტროქედის მუნიციპალიტეტის მერია ა(ა)იპ ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანება | | საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო | 2018 | 2019 | |